

ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია

2024 წელი, I – IV კვარტალი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					271 469.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დასრულდა ქ. რუსთავში სასადილო შენობის გადაკეთება სატელეფონო კონსულტაციის სამსახურისთვის და პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპისათვის საჭირო სარეგისტრაციო შენობის გადიდება;
- ხელშეკრულება გაფორმდა ქ. რუსთავში გარე ტერიტორიის მოწყობის და საგამოცდო მანქანებისათვის საჭირო ნავესის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე;
- შესყიდულ იქნა ახალი დიზაინის ტრანზიტული სახელმწიფო სანომრე ნიშნები (1 230 000 ცალი);
- შესყიდულ იქნა 2 (ორი) ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდო ჰიდრაგლიკური წნები;
- ალუმინის ჯართის ზუსტი წონის დასადგენად შესყიდულ იქნა შესაბამისი ტიპის სასწორები და ყუთები;
- სააგენტოს თანამშრომლებისათვის შესყიდულ იქნა ზაფხულის და ზამთრის უნიფორმა;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა სხვადასხვა სახის ავეჯი, მათ შორის იარაღის დასადავლო მოწყობილობის დასადგმელი გამწოვი კარადები;
- მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდისათვის შესყიდულ იქნა 47 ერთეული სენსორული მონიტორი;
- სააგენტოს ოპერატორებისათვის შესყიდულ იქნა 99 ერთეული ხელმოწერის დაფა;
- ქ. თბილისში იარაღის რეგისტრაციის შენობაში დამონტაჟდა რიგის მარეგულირებელი სისტემა;
- ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს მაშტაბით სააგენტოს შენობების და გარე ტერიტორიების კამერებით აღჭურვის შესყიდვაზე;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სხვადასხვა სახის ავტომანქანების შეძენა;
- თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ს, სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს და სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს;
- სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები და იურიდიული პირებზე იარაღის რეგისტრაცია და 2023 წლის 1-ელ აგვისტომდე რეგისტრირებული სანადირო

ხრახნილლულიანი (მათ შორის, კომბინირებული) ცეცხლსასროლი იარაღის მესაკუთრეთა ვალდებულება 2024 წლის 1-ელი მაისის ნაცვლად გადაიწია პირველ ჯერზე 1-ელი დეკემბრის ჩათვლით, ასევე გადავადდა იურიდიულ პირებზე იარაღის რეგისტრაციის 1-ელ მაისამდე დათქმული პერიოდი 1-ელ დეკემბერს; აღნიშნული პერიოდი გადაწეულ იქნა 2025 წლის 1-ელი თებერვლის ჩათვლით.

- „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები. რომლის თანახმად, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ლიზინგის რეგისტრაციისას აღარ მოითხოვება სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა და განისაზღვრა სააგენტოში ცნობის გასაცემად წარდგენილი დოკუმენტების შენახვის ვადა;
- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1-ელი აგვისტოს №598 ბრძანებაში შესული ცვლილებებით დამატებულ იქნა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ახალი საგამოცდო მარშრუტები: ქ. თელავში, ქ. გორში და ქ. ოზურგეთში;
- „მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი მოთხოვნებისა და მისი შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის №01-6/ნ-№134 ერთობლივ ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტი მომზადდა, რომლითაც სმენა დაქვეითებულ და ყრუ პირებს გაუმარტივდებათ „AM“, „A“, „B“, „BE“, „A1“, „A2“, „B1“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების მსურველებს მართვის მოწმობის აღება აღნიშნულ კატეგორიებში/ქვეკატეგორიებში;

- „სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1-ელი აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მომზადდა პროექტი, რომლის თანახმადაც, პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის ჩაბარების ვალდებულება წარმოიშობა „CE“, „DE“ კატეგორიებთან/„C1E“, „D1E“ ქვეკატეგორიებთან მიმართებაშიც და ასევე, 2025 წლის მაისიდან, ამავე კატეგორიებს პრაქტიკული გამოცდის პირველ ეტაპზე დაემატება ახალი ელემენტი;
- აქტიური მუშაობის შედეგად: საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამეფოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ, საბერძნეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ, ირლანდიასა და საქართველოს შორის გაფორმდა მემორანდუმი მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების შესახებ. ასევე, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებასთან დაკავშირებით იტალიასთან, ლიეტუასთან, არაბთა გაერთიანებული საამიროებთან და მოლდოვასთან;
- შემუშავდა და დამტკიცდა პნევმატური იარაღის იურიდიულ პირზე რეგისტრაციისა და პნევმატური იარაღის ბალისტიკური შემოწმების ცვლილებების პროექტი;
- შემუშავდა და დამტკიცდა ცნობების ბლანკებისა და იარაღის ნებართვების ახალი ფორმები. ასევე, იურიდიული პირის იარაღის რეგისტრაციის მოწმობა და გირავნობისა და ლიზინგის მოწმობის ახალი ფორმები;
- შემუშავდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტები, მათ შორის „ელექტრონული დოკუმენტის და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან ცალკეულ შემთხვევებში დროებით გათავისუფლების შესახებ“ და სხვა, რაც მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და

ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მაქსიმალურად სწრაფ დროში დაინერგა განახლებული სერვისი.

- სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, გამოქვეყნდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია სააგენტოს სერვისების შესახებ, ასევე სიახლეების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების მიერ;
- საანგარიშო პერიოდში დისტანციური სერვისით ისარგებლა **350 092** -მა პირმა, მათ შორის:
 - ✓ საინფორმაციო სამსახურმა 2024 წლის განმავლობაში უპასუხა 80 785 მომართვას;
 - ✓ სატელეფონო კონსულტაციის სამსახურში პასუხი გაეცა 269 307 ზარს.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 609 060 მოქალაქეს და 35 903 ორგანიზაციას.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- სააგენტოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით. სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეობებიდან 35%-მდე არის შესაძლებელი ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. არსებული მაჩვენებელი შენარჩუნებულია, ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების სახეობების მაჩვენებელი 50%-მდე გაზრდილია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 609 060 მოქალაქეს და 35 903 ორგანიზაციას.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი – სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად (100%-ით) არის რეაბილიტირებული; რეგიონებში სააგენტოს სარეგისტრაციო დარბაზებში და სასტუმრო ოთახებში განთავსებულია მოძველებული ავეჯი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა შენარჩუნებულია. გარემონტებულია 24 შენობა; რეგიონებში სრულად შეცვლილია/განახლებულია ავეჯი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განხორციელდება საშუალოვადიან პერიოდში.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროულ რეაგირებისათვის I.T.-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიანი ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებ გვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერა განახლებულია.